საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 8 19 00227125

25/02/2019

ქალბატონ ია ანთაძეს

ქალბატონო ია,

გვინდა მოგახსენოთ, რომ ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენს საავტორო გადაცემას და გიდასტურებთ ჩვენს დიდ პატივისცემას თქვენდამი, **როგორც** მაღალი დონის პროფესიონალისადმი, რომელიც საკუთარი, ძალზედ საინტერესო გადაცემებით მნიშვნელოვან როლს თამაშობთ საზოგადოებისათვის ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებაში.

ამავდროულად, გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, ბატონ გიორგი მაღალაშვილთან თქვენ ინტერვიუს რიგ დეტალებთან დაკავშირებით. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ნათელს მოჰფენს **მრავალ** უზუსტობას, რომლებიც თქვენ ინტერვიუში რესპოდენტის მხრიდან გაჟერდა.

პირველყოვლისა გაუგებარია, თუ რატომ საუბრობს ბატონი გ. მაღალაშვილი მტკიცებითი ფორმით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს არ გააჩნია ბაზა და იქ განთავსებულ კათედრებად კონკრეტულ ციფრს ასახელებს. შეკითხვაზე „ბაზა თუ აქვთ?" რესპოდენტი ამტკიცებს, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს ბაზა არ აქვს. აგრეთვე სვამს თვითონვე შეკითხვას - „სამედიცინო უნივერსიტეტს კლინიკა აქვს?", რასაც შემდგომ პასუხობს რომ ეს მხოლოდ ნომინალური სახელწოდებაა.

მოგახსენებთ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთადერთი, ტრადიციული უმაღლესი სამედიცინო განათლების ინსტიტუციაა ჩვენს ქვეყანაში, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშია ხუთი საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც პარტნიორ და აფილირებულ კლინიკებთან ერთად (რომლებშიც ჩვენი უნივერსიტეტის სახელოვანი პროფესორები მოღვაწეობენ) განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტები. ასე, მაგალითად, ინტერვიუში მოხსენიებულ თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებულია 22 დეპარტამენტი (სრულად, ან ამ დეპარტამენტების წარმომადგენლების - აკადემიური პერსონალის სახით), სადაც

0186. საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33; 33, Vazha-Pshavela Ave. 0186 Tbilisi, Georgia. ტელ / Tel: (+995 32) 254-24-24; 254-24-
ელ.ფოსტა/ E-mail: iad@tsmu.edu ; iad.tsmu@gmail.com ; ვებ-გვერდი / URL: www.tsmu.edu

სწავლა და სწავლება მიმდინარეობს ე.წ. Bed-site teaching-ის პრინციპით. აღნიშნული, დამერწმუნებით უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში პროფესიონალი ექიმის ჩამოყალიბებისთვის.

ასევე, გაცნობებთ, რომ გიორგი მაღალაშვილი 2011 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაზღვრულია „ზოგადი ქირურგიის“ სარეზიდენტო პროგრამის მოდულის „ნეიროქირურგია“ პასუხისმგებელ პირად, ხოლო 2016 წლიდან ამავე მოდულის პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა ბატონი ედიშერ მაღალაშვილი - ბატონი გიორგის ვაჟი. ამასთან, 2011 წელს გიორგი და ედიშერ მაღალაშვილები აქტიურად მონაწილეობდნენ სარეზიდენტო პროგრამის „ნეიროქირურგია“ შექმნასა და იმპლემენტაციაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ბატონ გიორგი მაღალაშვილთან, როგორც ნეიროქირურგთან მის მიერ ნახსენებ კლინიკაში და აგრძელებს ბატონი გიორგის ვაჟთან ბატონ ედიშერთან თანამშრომლობას, რისი საუკეთესო მაგალითია ამ უკანასკნელის მიერ 2018 წლის 5 ნოემბერს, ჩვენი უნივერსიტეტის ე.წ. სადისერტაციო დარბაზში, თსსუ-ის სტუდენტებისათვის, რეზიდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის ჩატარებული საჯარო ლექცია „თავის ტვინი, ნეიროანატომია და ნეიროფიზიოლოგია“.

ამდენად მიგვაჩნია, რომ ბატონ გ. მაღალაშვილის პოზიცია და გამონათქვამები, ინტერვიუს მსვლელობისას, აცდენილია არსებულ რეალობას, ხშირ შემთხვევებში საფუძველს მოკლებული და მცდარია.

ასევე მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეს პოზიცია უნდა გახდეს ცნობილი თქვენი ფართო აუდიტორიისათვის.

გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი ზომები.

პატივისცემით,

ირინა კაპეტივაძე
რექტორის აპარატის უფროსი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ი. კაპეტივაძე